



№ 1/1/28

06.05 2022

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

„შპს „ევროპული სკოლის“ სამედიცინო პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 09 ნოემბრის N1/1/69 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შპს „ევროპული სკოლის“ წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. „შპს „ევროპული სკოლის“ სამედიცინო პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 09 ნოემბრის N1/1/69 ბრძანებაში შეტანილი იქნას ცვლილებები და შპს „ევროპული სკოლის“ სამედიცინო პოლიტიკა დამტკიცდეს ამ ბრძანებაზე თანდართული განახლებული რედაქციით, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. წინამდებარე ბრძანებისა და მის საფუძველზე დამტკიცებული პოლიტიკის ახალი რედაქციის შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სკოლის დირექტორის თანაშემწეს.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

*ს. კვიციანი*


სოფიო ბაზაძე  
დირექტორი  
შპს „ევროპული სკოლა“





European School LLC  
შპს ევროპული სკოლა


# სამედიცინო პოლიტიკა



გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური  
 პოლიტიკა შემუშავებულია: მოსწავლეთა დახმარების ცენტრის მიერ  
 პოლიტიკა შემუშავებულია: 2017 წლის სექტემბერი  
 გადახედვის ბოლო თარიღი: 2022 წლის მაისი  
 ბოლო გადახედვა: მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის მიერ

*ს. ზაზაძე*

სოფიო ბაზაძე  
დირექტორი



21, Skhirtladze Str., Tbilisi, 0177, Georgia  
 Tel: (032) 239 59 64.  
 info@europeanschool.ge  
 www.europeanschool.ge  
 ს/კ: 205172917

ჩვენი მისია .....	3
ჩვენი ღირებულებები.....	3
ჩვენ ვიღვწვით, რათა.....	3
შესავალი .....	4
განსაზღვრება.....	4
პასუხისმგებლობა .....	4
სამედიცინო კაბინეტი.....	4
სამედიცინო პერსონალი .....	5
გადაუდებელი დახმარება .....	6
გადაუდებელი დახმარების ტრენინგი .....	6
ქრონიკული დაავადებები და გადაუდებელი დახმარების ტრენინგი .....	6
გადაუდებელი დახმარების ყუთი .....	6
ლონისძიებები საგაკვეთილო პროცესის შემდეგ.....	7
ვიზიტები.....	7
გადაუდებელი დახმარების გაწევა .....	8
ავადყოფობა და ინციდენტები /უბედური შემთხვევები.....	8
ინციდენტები / უბედური შემთხვევები .....	9
ინციდენტის / უბედური შემთხვევის რეპორტიინგი .....	9
მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დაკავშირება.....	10
დამატებითი ინფორმაცია სასწრაფოს გამოძახებასთან დაკავშირებით .....	10
ინსტრუქციები ქრონიკული სამედიცინო დაავადებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მართვის მიზნით.....	11
მწვავე დაავადებების მართვა.....	11
გაცდენა .....	11
ინფექციური დაავადებები .....	11
მკურნალობა .....	12
თანამშრომლების პასუხისმგებლობა .....	12
სკოლაში მედიკამენტის მიღების პროცესი .....	12

### ჩვენი მისია

„ევროპული სკოლა“ მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

### ჩვენი ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია „ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ინოვაციის გზით სვლა;
- სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- განვითარება სწავლის საშუალებით;
- გლობალური მოქალაქეობა.

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა.

„ევროპულ სკოლაში“ სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

### ჩვენ ვიღწვით, რათა:

- შეექმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური გარემო;
- განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
- ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მაძიებლების ჩამოყალიბებას.

### შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს სკოლამშრომლები, თანამშრომლები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები და ვიზიტორები უსაფრთხო და საჭირო გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით (იმ ადამიანის თავდაპირველი სამედიცინო დახმარება, რომელიც მოულოდნელად დაშავდა ან ავად გახდა). გადაუდებელი სამედიცინო დახმარება შესაძლოა ჩატარდეს სკოლაში და მის გარეთ. თუკი დაშავებული საჭიროებს არა მხოლოდ გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია მიეწოდებათ დაუყოვნებლივ.

### განსაზღვრება

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა ხდება მცირე ტრავმების შემთხვევაში, რომლებსაც არ სჭირდება სკოლის ექიმის ან ექთნის ჩარევა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, შესაძლოა, გამოყენებული იქნას უფრო სერიოზული ტრავმების შემთხვევაშიც, სიცოცხლის გადარჩენისა და მოსალოდნელი სავალალო შედეგების შემცირების მიზნით მანამ, სანამ დახმარების აღმოჩენას შეძლებს სკოლის ექიმი/ექთან. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება არ გულისხმობს წამლებისა და აბების მიცემას დაავადების მკურნალობის მიზნით.

### პასუხისმგებლობა

სკოლა უზრუნველყოფს აღსაზრდელთა/მოსწავლეთა/თანამშრომელთა და ვიზიტორების უსაფრთხოებას, სკოლაში გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირობებისა და შესაბამისად მომზადებული თანამშრომლების არსებობასა და გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული რეკომენდაციების დაცვის უზრუნველყოფას. სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, დარწმუნდეს იმაში, რომ სკოლას გააჩნია გადაუდებელი დახმარების გაწევისათვის საჭირო რესურსები და თანამშრომლები, რომლებსაც შეუძლიათ დახმარების აღმოჩენა და მუდმივად იმყოფებიან სკოლის ტერიტორიაზე. ამასთან, ადმინისტრაციული მენეჯერი პასუხისმგებელია, რომ სკოლა აღჭურვილი იყოს შესაბამისი ინვენტარით, რომელიც საჭიროა გადამდები დაავადებების პრევენციის მიზნით.

ადმინისტრაციული მენეჯერი უზრუნველყოფს თანამშრომლების მიერ გადაუდებელი დახმარების/გადამდები დაავადებების პრევენციის მიზნით ტრენინგის გავლას და რწმუნდება იმაში, რომ მათ გააჩნიათ დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ცოდნა, თავდაჯერება და უნარ-ჩვევები.

### სამედიცინო კაბინეტი

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სადაც ბავშვებს/თანამშრომლებს/ვიზიტორებს უწევს სამედიცინო მომსახურებას. სამედიცინო კაბინეტი მოწყობილია/აღჭურვილია „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

სამედიცინო პერსონალი

### *სკოლის ექიმი*

სკოლის ექიმი სამედიცინო დახმარებას უწევს სკოლის ტერიტორიაზე მყოფ პირს, რომელსაც ესაჭიროება აღნიშნული დახმარება.

ექიმს აქვს ჰოლისტიკური მიდგომა, კერძოდ, იგი მუშაობს როგორც ფიზიკური, ასევე მენტალური მიმართულებით მიუხედავად მოსწავლის ასაკისა, სქესისა და სხვა ნიშნისა და ზრუნავს მოსწავლეების ჯანმრთელობაზე.

ექიმის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს პრევენციული სამედიცინო მომსახურება. სკოლის ექიმი თანამშრომლობს მოსწავლეებთან, პროგრამის კოორდინატორებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და პირებთან, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ბავშვების წინაშე. სკოლის ექიმი, ბავშვების ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით, თანამშრომლობს სკოლის მენეჯმენტთან და ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან სკოლაში, იმ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც შესაძლოა, პირდაპირი ან ირიბი გავლენა მოახდინოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ან/და გადამდები დაავადების გავრცელებაზე.

სკოლის ექიმი უზრუნველყოფს ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობასა და აკადემიურ წარმატებას. სკოლის ექიმის პასუხისმგებლობაში შედის: გასინჯვა და მკურნალობა პროფესიული პრაქტიკის შესაბამისად, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, სამედიცინო დაწესებულების ექიმთან გადამისამართება, მოსწავლეების იმუნიზაციის სტატუსის მონიტორინგი, ანტი-ეპიდემიური და სანიტარიული ზომების მიღება, ჰიგიენური სტანდარტების დაცვა, მოსწავლეების, სკოლის თანამშრომლებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მომარაგება საჭირო ინფორმაციით (პერსონალური ჰიგიენა, რეპროდუქტიული ჯანმრთელობა, ჯანსაღი ცხოვრება, და ა.შ), ჯანსაღი საკვები სერვისების უზრუნველყოფა, სხვადასხვა ინფორმაციული ღონისძიებების დაგეგმვა/ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს გადამდები დაავადებების შესახებ სკოლის საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, ასევე „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული ვალდებულები/ფუნქციები.

## გადაუდებელი დახმარება

„ევროპული სკოლა“ უზრუნველყოფს ყოველ 50 ადამიანზე სულ მცირე ერთი ტრენინგავალილი ადამიანის ყოფნას, რომელსაც გადაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია. სკოლის ექიმი, სკოლის ადმინისტრაციულ მენეჯერთან ერთად, პასუხისმგებელია იმ პირების სიის მონიტორინგზე, რომლებსაც გავლილი აქვთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის ტრენინგი (შემდგომში - ლიცენზირებული პირი). სია ივსება აკადემიური წლის დასაწყისში და შემდეგ ხდება მასში ცვლილებების შეტანა საჭიროების შესაბამისად. სკოლის ტერიტორიაზე, სულ მცირე ერთი ლიცენზირებული პირი მაინც იმყოფება. დახმარების საჭიროების შემთხვევაში, პირველ რიგში, უკავშირდებიან სკოლის ექიმს. თუ სკოლის ექიმი არ არის ხელმისაწვდომი, მაშინ საქმეში ერთვება დამრიგებელი/კოორდინატორი/სკოლის მისაღები და იძახებს ლიცენზირებულ პირს, რომელსაც გადაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია. როგორც წესი, გადაუდებელი დახმარების გაწევის საჭიროება დგება სასწავლო დღეებში და სასკოლო ექსკურსიებზე. თუ სკოლის თანამშრომელს მიაჩნია, რომ აუცილებელია, იცოდეს, როგორ აღმოუჩინოს მოსწავლეებს გადაუდებელი დახმარება და სურს, გაიაროს შესაბამისი ტრენინგი, მან აღნიშნული საკითხი უნდა განიხილოს უშუალო ხელმძღვანელთან ან ადმინისტრაციული მენეჯერთან. პირების სია, რომლებსაც აქვთ გადაუდებელი დახმარების გაწევის კვალიფიკაცია, მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში (იხ. დანართი A).

## გადაუდებელი დახმარების ტრენინგი

გადაუდებელი დახმარების ტრენინგებსა და საკვალიფიკაციო კურსებს კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციული მენეჯერი და ატარებს სკოლის ექიმი. საჭიროების შემთხვევაში, საქმეში ერთვებიან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე გარეშე ფიზიკური/იურიდიული პირები. ადმინისტრაციულ მენეჯერს გააჩნია ყველა ტრენინგის ამსახველი დოკუმენტაცია.

## ქრონიკული დაავადებები და გადაუდებელი დახმარების ტრენინგი

თუკი სკოლაში ჩაირიცხება ბავშვი, რომელსაც გააჩნია სპეციფიური სამედიცინო საჭიროებები, მაშინ თანამშრომლების ტრენინგი ჩატარდება ინდივიდუალური ჯანმრთელობის გეგმის ფარგლებში (*Individual Health Care Planning*).

## გადაუდებელი დახმარების ყუთი

პროგრამის კოორდინატორები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ გადაუდებელი დახმარების ყველა ყუთი აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს. ყუთები უნდა შემოწმდეს ყოველთვიურად. გამოყენების შემდეგ, ყუთი კვლავ უნდა შეივსოს.

გადაუდებელი დახმარების ყუთების დაკომპლექტება ხდება ბავშვების ასაკისა და საჭიროებების

გათვალისწინებით.

ყუთები განლაგებულია შემდეგ ადგილებში: სკოლაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების კოორდინატორების/ხელმძღვანელების ოფისები, ხელოვნების ოთახი, ლაბორატორიების ოთახები, დაცვის (უსაფრთხოების) სამსახურში და სკოლის მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილებში.

სკოლის მოთხოვნების თანახმად, თუკი თანამშრომელს სკოლაში შემოაქვს მედიკამენტები, აღნიშნული მედიკამენტი უნდა შეინახოს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, დახურულ კარადაში და არა იმ ხელჩანთაში, რომელიც შესაძლოა, საკლასო ოთახში აღმოჩნდეს.

#### ღონისძიებები საგაკვეთილო პროცესის შემდეგ

როდესაც თანამშრომლები აორგანიზებენ ღონისძიებებს საგაკვეთილო პროცესის შემდეგ, მათ უნდა დაასახელონ პირი, რომელსაც აქვს გადაუდებელი დახმარების გაწევის ლიცენზია და შეძლებს, დაესწროს აღნიშნულ ღონისძიებას. როცა თანამშრომლებმა ზუსტად არ იციან, თუ რამდენი ადამიანია საჭირო, მაშინ ისინი წინასწარ კონსულტაციას გადიან ადმინისტრაციულ მენეჯერთან.

#### ვიზიტები

სკოლის ფარგლებს გარეთ ღონისძიების დაგეგმვის შემთხვევაში, სკოლის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, ბავშვებს/მოსწავლეებს აქვთ თუ არა სამედიცინო საჭიროებები და დასჭირდებათ თუ არა სამედიცინო დახმარება. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა, შეკრას სამედიცინო დახმარების ყუთი და მოამზადოს სკოლის ფარგლებს გარეთ მომხდარი ინციდენტის შესახებ ანგარიში (ასეთის არსებობისას).

მოსწავლეების ინდივიდუალური სამედიცინო საჭიროებები აისახება რისკის შეფასების ფორმაში (risk assessment form). სკოლის ფარგლებს გარეთ არსებულ ლოკაციებს, რომლებსაც მოსწავლეები სტუმრობენ, აქვთ გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის იურიდიული ვალდებულება, ხოლო სკოლის ვალდებულებაა, დაიცვას მოსწავლეთა უსაფრთხოება. ადეკვატურად მომზადებულმა თანამშრომლებმა და პროცედურებმა უნდა უზრუნველყონ მოსწავლისთვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა და უსაფრთხოების დაცვა ისე, რომ მოსწავლეების რომელიმე ჯგუფი უყურადღებოდ არ დარჩეს.

თანამშრომლების და მოსწავლეთა თანაფარდობა გასვლით ვიზიტებზე არის 1:10. ვიზიტის ორგანიზატორი ასახელებს ერთ პიროვნებას, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი დახმარების გაწევა ეკისრება. ამ პიროვნებამ უნდა ატაროს გადაუდებელი დახმარების ყუთი. გასვლითი ვიზიტისას, თუკი მოსწავლე ავად გახდება ან დაშავდება, ზედამხედველი უხმობს ამ პიროვნებას დახმარებისთვის. იგი გადაინაცვლებს ინციდენტის ადგილას და თავისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ მოსწავლეებს გადააბარებს იმ მასწავლებელს, რომლის მოსწავლესაც ესაჭიროება დახმარება. როდესაც იგი დაკავებულია ბავშვისთვის დახმარების აღმოჩენით, მან იცის, რომ მისი მოსწავლეები ზედამხედველობის

გარეშე არ დარჩენილან.

#### გადაუდებელი დახმარების გაწევა

გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისასასას გასათვალისწინებელი მოვალეობები:

- სწრაფი რეაგირება დახმარების თხოვნაზე;
- დაშავებულთა დაუყოვნებელი დახმარება;
- დარწმუნება იმაში, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოძახებულია სასწრაფო და შესაბამისი სამედიცინო დახმარება;
- ინციდენტისა და გაწეული დახმარების დეტალების აღნუსხვა;
- ინციდენტის ადგილის უსაფრთხოდ დაცლა;
- გამოყენებული გადაუდებელი დახმარების ნივთების შევსება.

სამედიცინო დახმარების ტრენინგზე შესწავლილი წესები ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროფესიონალური დახმარება - გამოძახებული. სამედიცინო ყუთებში მოთავსებული უნდა იყოს გადაუდებელი დახმარების ბუკლეტები. ეჭვების არსებობის შემთხვევაში, პირმა, რომელიც სამედიცინო დახმარების აღმოჩენითაა დაკავებული, უნდა სთხოვოს დახმარება:

- სასწრაფოს: 112
- სკოლის ექიმს

#### ავადმყოფობა და ინციდენტები / უბედური შემთხვევები

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თავს ცუდად იგრძნობს, ან ადგილი აქვს ინციდენტს ან აღენიშნება გადამდები დაავადებისათვის დამახასიათებელი რომელიმე სიმპტომი, შემდეგი პროცედურა უნდა იქნას დაცული:

#### ავადმყოფობა

როცა მოსწავლე სკოლაში ცუდად ხდება, ის უნდა გააცილონ სკოლის ექიმთან. სკოლის ექიმი გადაწყვეტს, რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას შემდგომ. თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კვალიფიკაცია, შესაძლოა, სთხოვონ დახმარების გაწევა. თუმცა, გადაწყვეტილებას

მოსწავლის სახლში გაშვებასთან ან საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით, იღებს სკოლის ექიმი, ან, მისი არყოფნის შემთხვევაში - სკოლის მმართველი გუნდის წევრი.

თუ სკოლის ექიმი ადგილზე არ იმყოფება, მოსწავლე, რომელსაც სჭირდება დახმარება, მიმართავს დამრიგებელს/კოორდინატორს/სკოლის მისაღებს, რომელიც უზრუნველყოფს გადაუდებელი დახმარების გამოძახებას.

თუკი ავადმყოფობა არ არის მძიმე და არ საჭიროებს მკურნალობას, მოსწავლეს შეუძლია

სამედიცინო პუნქტში დაისვენოს, სანამ თავს უკეთ არ იგრძნობს. თუკი სკოლის ექიმი გადაწყვეტს, რომ მოსწავლე შინ უნდა წავიდეს, მაშინ სკოლა უკავშირდება მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს ბავშვის წასაყვანად.

თუ მოსწავლეს შეუძლია სახლში დაბრუნება უსაფრთხოდ, და თუ მის წასაყვანად მოსვლას ვერ ახერხებენ, მაშინ, მშობლის თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელია, მოსწავლე შინ გაგზავნონ. ამ დროს ბავშვს/მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სთხოვენ, შინიდან დარეკოს და აცნობოს სკოლას, რომ მოსწავლე სახლში უსაფრთხოდ მივიდა.

გამონაკლის შემთხვევებში, სკოლის ექიმმა ან სკოლის მმართველი გუნდის წევრმა, შესაძლოა, სთხოვოს სკოლის რომელიმე თანამშრომელს, მოსწავლე შინამდე მიაცილოს.

თუ მოსწავლეს სჭირდება საავადმყოფოში გადაყვანა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება მშობლებს/ კანონიერ წარმომადგენლებს. თუკი სიტუაცია საგანგაშო არ არის, მაშინ მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენელს სთხოვენ, მოაკითხონ ბავშვს და გადაიყვანონ იგი იმ საავადმყოფოში, სადაც თავად სურთ. ხოლო თუკი ბავშვის საავადმყოფოში გადაყვანა დაუყოვნებლივია საჭირო, მაშინ მოსწავლეს სკოლის თანამშრომელი გაჰყვება საავადმყოფოში და იქ დაელოდება ბავშვის მშობელს, რათა მშობელმა აილოს ბავშვზე პასუხისმგებლობა. ასეთ სიტუაციებში, მშობლებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ დანიშნულების ადგილას დროულად მივიდნენ.

თუ მოსწავლეს სჭირდება საავადმყოფოში გადაყვანა, მაშინ სკოლის ექიმი, ან სკოლის მმართველი გუნდის წევრი, სიტუაციის სიმძიმის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მოსწავლის ტრანსპორტირებას ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მეთოდით:

- სკოლის მინი-ავტობუსი/სკოლის სხვა სატრანსპორტო საშუალება
- ტაქსი

იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს დაუფიქსირდება გადამდები დაავადებისათვის დამახასიათებელი რომელიმე სიმპტომი, სკოლა მოქმედებს იმ რეგულაციებისა და პროტოკოლის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია შესაბამის ორგანოთა რეკომენდაციების საფუძველზე.

#### ინციდენტები / უბედური შემთხვევები

ინციდენტის/უბედური შემთხვევის შედეგად დაშავებულები უნდა გადაიყვანონ სკოლის ექიმთან. ამ შემთხვევაშიც, ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურები იქნება ძალაში. თუმცა, თუ დაზარალებულის განძრევა არ შეიძლება, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდნენ სკოლის ექიმს, ან პირს, რომელსაც აქვს გადაუდებელი დახმარების გაწევის კვალიფიკაცია.

თუკი დაზიანება სერიოზული ხასიათისაა, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სკოლის დირექტორსა და ადმინისტრაციულ მენეჯერს.

#### ინციდენტის / უბედური შემთხვევის რეპორტირება

სკოლის ექიმი აღრიცხავს მოსწავლეებისა და თანამშრომლების ყველა ვიზიტს. აღნიშნული დეტალები ინახება კონფიდენციალურ ბაზაში (ინციდენტების წიგნაკი), რომელზეც

პასუხისმგებელია სკოლის ექიმი. აღნიშნული ბაზა ინახავს ავადმყოფობისა და ინციდენტების/უბედური შემთხვევების დეტალებს:

- სახელი, გვარი
- თარიღი
- დროავადმყოფობის, ინციდენტის/უბედური შემთხვევის ხასიათი (თუ რელევანტურია - შემთხვევის ადგილიც)
- გადაუდებელი დახმარების დეტალები
- დაუკავშირდნენ თუ არა მშობლებს და გაგზავნეს თუ არა მოსწავლე შინ, ან - საავადმყოფოში.

სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვები აღრიცხება სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში, ხოლო გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ ინფორმაცია შეიტანება სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში. ზემოაღნიშნული სააღრიცხვო ფორმა/ჟურნალი იწარმოება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისად.

**მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დაკავშირება**

მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ, თუკი მათ შვილებს/მეურვეობაში/მზრუნველობაში მყოფ პირებს აღმოუჩინა დახმარება სკოლის ექიმმა ან იმ პირმა, რომელსაც აქვს ამის ლიცენზია.

გადამდები დაავადებისათვის დამახასიათებელი რომელიმე სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში მოსწავლისათვის სკოლის ექიმის მიერ შესაბამისი რეგულაციებითა და პროტოკოლით გათვალისწინებული წესით დახმარების აღმოჩენის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს აღნიშნულის შესახებ მშობლისათვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის ინფორმაციის მიწოდება.

**დამატებითი ინფორმაცია სასწრაფოს გამოძახებასთან დაკავშირებით**

*(მეტი დეტალებისთვის, იხილეთ დანართი B).*

სიტუაციაში, როდესაც ადამიანის სიცოცხლე არის საფრთხეში ან თუკი ვინმე სერიოზულად დაზარალდა ან დაშავდა, აუცილებლად დარეკეთ 112-ზე.

გადამდები დაავადებებისათვის დამახასიათებელი რომელიმე სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში 112-ზე დარეკვის წესი განისაზღვრება შესაბამისი რეგულაციებითა და პროტოკოლით.

გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევები მოიცავს (თუმცა არ არის ლიმიტირებული):

- ტკივილი მკერდის არეში
- გართულებული სუნთქვა, მაგ: ასთმის შეტევა
- გონების დაკარგვა
- სისხლის დიდი ოდენობით დაკარგვა
- სერიოზული დამწვრობა
- ხველება
- ტვინის შერყევა
- დახრჩობის საფრთხე
- სერიოზული ალერგიული რეაქცია
- დიაბეტით გამოწვეული საგანგებო სიტუაცია

საგანგებო სიტუაციაში, სასწრაფოს იძახებს სკოლის ექიმი ან პირი, რომელსაც აქვს გადაუდებელი დახმარების გაწევის უფლება ან სკოლის მიერ განსაზღვრული სხვა პირი.

**როცა არ ხართ დარწმუნებული, როგორ მოიქცეთ, უმჯობესია, გამოიძახოთ სასწრაფო.**

ინსტრუქციები ქრონიკული დაავადებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მართვის მიზნით

სკოლაში მიღებისა და ჩარიცხვის პროცესისას, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ავსებენ კითხვარს, სადაც ყურადღება გამახვილებულია არსებულ, წარსულში გადატანილ ან ოჯახში არსებულ დაავადებებზე. წლის განმავლობაში რაიმე ცვლილების შემთხვევაში, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ვალდებული არიან, ინფორმაცია მიაწოდონ სკოლის ექიმს. სამედიცინო ინფორმაცია ცნობილი ხდება სკოლის თანამშრომლებისთვის, თუკი ეს საჭიროა ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

მწვავე დაავადებების მართვა

გაცდენა

თუკი ბავშვი თავს ცუდად გრძნობს და სკოლაში მოსვლას ვერ ახერხებს, მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა დილასვე უნდა აცნობოს სკოლას ამის შესახებ. თუკი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი არ დაუკავშირდება სკოლას, მაშინ ბავშვის არყოფნის მიზეზის გასარკვევად, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს დაუკავშირდება ბავშვის დამრიგებელი.

ინფექციური დაავადებები

მაგალითები: ჩუტყვავილა, პარვოვირუსი, წითელა, წითურა, ყბაყურა, ყვიანახველა, ქუნთრუშა, გრიპი. თუკი არსებობს ეჭვი ინფექციურ დაავადებებზე, აღნიშნულის შესახებ ეცნობება ადმინისტრაციულ მენეჯერს. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის

ეროვნული ცენტრის ინსტრუქციებისა და შესაბამისი რეგულაციების/პროტოკოლების შესაბამისად, ადმინისტრაციული მენეჯერი უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების წევრების ინფორმირებას დაავადების არსებობის შესახებ და აცნობებს, რა ზომები უნდა გატარდეს. სკოლა თანამშრომლობს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და აწვდის ინფორმაციას დაავადების, მისი მკურნალობისა და იმ რეკომენდებული პერიოდის შესახებ, რომელიც ავადმყოფმა შინ უნდა გაატაროს, რათა სკოლაში დაავადების გავრცელებას არ შეუწყოს ხელი.

#### **მკურნალობა**

მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მთავარი დანიშნულებაა ბავშვების ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და გადაწყვეტა, შეუძლიათ თუ არა ბავშვებს გაკვეთილებზე დასწრება. მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა სკოლას უნდა მიაწოდონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბავშვის სამედიცინო საჭიროებების შესახებ და სრულად დაიცვან ის წესები, რაც სკოლის მიერ განისაზღვრება გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით.

#### **მნიშვნელოვანი საკითხები:**

- სამედიცინო საჭიროებების მქონე მოსწავლეს სჭირდება შესაბამისი მხარდაჭერა, რომ მას ჰქონდეს შეუზღუდავი წვდომა განათლებაზე, სასკოლო ექსკურსიებსა და ფიზიკურ აღზრდაზე.
- სკოლამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სასკოლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს სამედიცინო საჭიროებების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლებას.
- სკოლის მმართველმა გუნდმა კონსულტაციები უნდა გაიარონ ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში მომუშავე პროფესიონალებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, რათა დარწმუნდნენ, რომ ბავშვების სამედიცინო საჭიროებები ეფექტურად არის დაკმაყოფილებული.

#### **თანამშრომლების პასუხისმგებლობა**

სკოლის მასწავლებლებს არ ეკისრებათ იურიდიული ვალდებულება, ბავშვს დაეხმარონ მედიკამენტის მიღებაში ან თვალყური ადევნონ მათ მედიკამენტის მიღებისას, თუ ამას უშუალოდ მათი ვალდებულებები არ ითვალისწინებს. თანამშრომელმა შესაძლოა, გამოთქვას ამის სურვილი, მაგრამ საამისოდ საჭიროა შესაბამისი ინსტრუქციებისა და ტრენინგების გავლა.

ინდივიდუალურ დონეზე, სკოლაში და გასვლით ტურებზე მოსწავლის მიერ მედიკამენტის მიღება შესაძლებელია, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში და იმავდროულად სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

#### **სკოლაში მედიკამენტის მიღების პროცესი**

##### *მცირევადაიანი სამედიცინო საჭიროებები*

როგორც წესი, მედიკამენტი მოსწავლემ უნდა მიიღოს სახლში. სკოლაში წამლის შემოტანა

ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ამის აბსოლუტური საჭიროება (თუკი მედიკამენტს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა ბავშვის ჯანმრთელობისთვის ან/და გავლენას მოახდენს ბავშვის დასწრებაზე).

სკოლა იღებს მხოლოდ:

- მედიკამენტებს, რომლებიც გამოწერილია ექიმის მიერ;
- მედიკამენტებს, რომლებსაც აქვთ ვადა;
- მედიკამენტებს, რომლებიც ბავშვმა უნდა სკოლის ტერიტორიაზე ყოფნის დროს/სასკოლო დროს;
- მედიკამენტებს, რომლებიც მოთავსებულია კონტეინერში, ან შეფუთულია ფარმაცევტის მიერ;
- კონტეინერებს, რომლებსაც აწერია ბავშვის სახელი და მიღების ინსტრუქცია, დოზა და შენახვა ქართულად და ინგლისურად.

მშობელმა ხელი უნდა მოაწეროს ფორმას, რომელშიც აისახება შესაბამისი დეტალები და ნებას მისცემს პიროვნებას (დამრიგებელს, კოორდინატორს, სკოლის ექიმს), დაეხმაროს ბავშვს მედიკამენტის მიღებაში. მედიკამენტი უნდა იქნას შენახული კარადაში, რომელიც იკეტება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მედიკამენტს სჭირდება მაცივარი) და მასზე წვდომა აქვთ მხოლოდ განსაზღვრულ პირებს. აღნიშნული პირები აღნუსხავენ მედიკამენტის მიღების თარიღს, დროს და დოზას. თუ ბავშვს აქვს ნება, თავად დალიოს წამალი, ესეც უნდა აისახოს მონაცემებში.

მშობელმა არცერთ შემთხვევაში არ უნდა გამოგზავნოს ბავშვი სკოლაში წამლებით, მაგ., ყელის ტაბლეტებით, სკოლის წინასწარი ინფორმირების გარეშე. ამან, შესაძლოა, ბავშვებს შეუქმნას საფრთხე.

მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ, სკოლაში მოვიდნენ და შვილებს მედიკამენტების მიღებაში დაეხმარონ იმ შემთხვევაში, თუკი სკოლა ამაზე უარს ამბობს ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო.

### **გრძელვადიანი სამედიცინო საჭიროებები**

როდესაც ბავშვს გააჩნია გრძელვადიანი სამედიცინო საჭიროებები, შესაბამისი გეგმა უნდა გაიწეროს ადმინისტრაციული მენეჯერის დახმარებით და ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. შესაძლოა, საჭირო გახდეს ინდივიდუალური რისკების შეფასებაც. გეგმა უნდა გადაიხედოს მინიმუმ ყოველ წელს. მშობლის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, სკოლას შეატყობინოს ბავშვის ჯანმრთელობაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ, რომლებიც, თავის მხრივ, გამოიწვევს გეგმაში ცვლილებების შეტანას.

სკოლის თანამშრომლებისთვის ჩატარდება ტრენინგები სკოლის ექიმისა ან/და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე გარეშე ფიზიკური/იურიდიული პირების (ასეთის საჭიროებისას) მიერ ზოგადი სამედიცინო საჭიროებების შესახებ, მაგ: ცნობიერების ამაღლება ასთმის, დიაბეტის და ეპილეფსიის შესახებ.

### **მედიკამენტების მიღება სკოლიდან გასვლითი ვიზიტების დროს**

ამ დროს არსებობს განსაზღვრული პიროვნება, რომელიც რწმუნდება იმაში, რომ მოსწავლეები იღებენ მედიკამენტებს და აქვთ შესაბამისი მხარდაჭერა.

მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები შეავსებენ ფორმას და შეხვდებიან განსაზღვრულ პირებს იმაში დასარწმუნებლად, რომ მათ აქვთ ინფორმაცია ბავშვის სამედიცინო საჭიროებების შესახებ.

დანართი A

თანამშრომლები, რომელთაც გავლილი აქვთ გადაუდებელი დახმარების/პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი:

N	გვარი	სახელი	ტრენინგი	ლოკაცია	ჩატარების დრო
1	ვეკუა	ლიანა	ძირითადი გადაუდებელი დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	ივნისი, 2018
2	გიორგაძე	მარიამი	ძირითადი გადაუდებელი დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	ივნისი, 2018
3	ჩახნაშვილი	ანა	ძირითადი გადაუდებელი დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	ივნისი, 2018
4	ბეჟუაშვილი	ანა	ძირითადი გადაუდებელი დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	ივნისი, 2018
5	ივანიძე	ნანა	ძირითადი გადაუდებელი დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	ივნისი, 2018
6	ივანიძე	თინათინი	ძირითადი გადაუდებელი დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	ივნისი, 2018
7	ფაცაცია	სოფიკო	ძირითადი გადაუდებელი დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	ივნისი, 2018
8	კინწურაშვილი	ირმა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
9	კალანდაძე	ანა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
10	მჭედლიძე	მარიამი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
11	ჯალიაშვილი	მაკა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.

12	რამიშვილი	ნინო	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
13	ბერძენიშვილი	ეკატერინე	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
14	მულაძე	ანა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
15	დვალაშვილი-ჩიხორია	თამარი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
16	ხიზანიშვილი	გვანცა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
17	ქურდაძე	ვერიკო	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
18	მელიქიძე	ნინა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
19	კირთაძე	თამარი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
20	ახვლედიანი	ასმათი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
21	კორძაძე	მინდია	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
22	ტეფნაძე	შოთა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
23	ბასიშვილი	ზაქარია	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
24	ქაჯაია	ვაჟა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
25	თავშავაძე	მინდია	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.

26	პაპიაშვილი	ამირანი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
27	კიბაბიძე	ნატო	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
28	წიკლაური	ნათია	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
29	მარდალეიშვილი	მარიამი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
30	გოგიბერიძე	ირმა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
31	მიქელაძე	ნატალია	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
32	მელიქიშვილი	ლელა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
33	გოგიჩაშვილი	თამთა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
34	ციგროშვილი	თამარი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
35	კაპანაძე	ხათუნა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
36	გამსახურდია	ირინა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
37	კობახიძე	გვანცა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
38	მეჭურჭლიშვილი	ეთერი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
39	უმუდუმოვი	მარიამი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.

40	თოლორაია	ინგა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
41	ჟამურაშვილი	მანანა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
42	კოჭლამაზაშვილი	ირინა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
43	სიხარულიძე	თეა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
44	გოგალაძე	გურანდა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
45	წულაძე	მუხრანი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
46	შავერდაშვილი	მიხეილი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
47	ბარბაქაძე	თამაზ	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
48	ჭილაშვილი	ვახტანგი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
49	გოგიჩაშვილი	დავით ი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
50	ჩიხლაძე	ზვიადი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
51	ინასარიძე	ლალი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
52	ჩომახაშვილი	ლულუ	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
53	ჯაფარიძე	თამარ	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.

54	ჩოქური	ნინო	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
55	ჯობაძე	ირმა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
56	ჯაბანიშვილი	ია	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
57	მაჭავარიანი	ლეილა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
58	გაბრიჩიძე	ლანა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
59	ბერიძე	ნატო	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
60	მერკვილაძე	ინა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
61	ჭყონია	მარიამი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
62	ნადირაძე	მარიამი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
63	ცხადაძე	მაია	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
64	ბეჟუაშვილი	თამარი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
65	აფციაური-ტაბუცაძე	მარიამი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
66	გულდამაშვილი	სოფიკო	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
67	ეფრემიძე	ნათელა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.

68	ციციშვილი	ია	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
69	ფილაური	თამარი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
70	მელიქიშვილი	მაკა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
71	სილაგაძე	თინათინი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
72	მერკვილაძე	თამარი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
73	ფანიაშვილი	ნატალი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
74	ბეჭვია	სალომე	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
75	როსტოფ-სტენბერგ	ალექსანდრა იონანა ელიზაბეტ	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
76	ფერერა	ლიზლ	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
77	შნიტგერი	ტიფანი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
78	ჭელიძე	მარინა	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.
79	გუგუშვილი	თინათინი	პირველადი სამედიცინო დახმარება	შპს "ევროპული სკოლა"	მაისი, 2022 წ.

## დანართი B

პირი, რომელსაც აქვს გადაუდებელი დახმარების გაწევის უფლება, ან სხვა უფლებამოსილი პირი, რეკავს 112-ზე, იძახებს სასწრაფო დახმარებას, საუბრობს ნელა და გარკვევით და მომზადებული აქვს შემდეგი ინფორმაცია:

- სკოლის ტელეფონის ნომერი (+995 32) 239 59 64; 239 44 94;
- მისამართი: ირინა სხირტლამის 2, თბილისი, საქართველო, 0177;
- დაასახელეთ, თუ ზუსტად სად იმყოფება ადამიანი, რომელსაც დახმარება სჭირდება;
- იმ ადამიანის სახელი, ვისაც დახმარებასჭირდება;
- იმ ადამიანის ასაკი, ვისაც დახმარება სჭირდება;
- სიმპტომების მოკლე აღწერა (თუ ცნობილია, რა სამედიცინო საჭიროება აქვს ადამიანს, მაშინ ესეც უნდა დასახელდეს);
- მიაწოდეთ ინფორმაციას სასწრაფოს, თუ რომელია ყველაზე მოსახერხებელი შესასვლელი სკოლაში და გააფრთხილეთ, რომ სასწრაფო დახმარების ბრიგადას დახვდებიან და მიიყვანენ მოსწავლესთან;
- არ დაკიდოთ ყურმილი მანამ, სანამ მიწოდებულ ინფორმაციას არ გაგიმეორებენ;
- პიროვნება, რომელიც ზარს ახორციელებს, უნდა იყოს ბავშვთან, ვინაიდან შესაძლოა სასწრაფომ მას მისცეს გადაუდებელი დახმარების შესახებ ინსტრუქცია;
- გაგზავნეთ თანამშრომელი სკოლის შესასვლელთან, რომელიც სასწრაფო დახმარების ბრიგადას ამოიყვანს პაციენტთან. დარწმუნდით, რომ დირექტორმა და ადმინისტრაციულმა მენეჯერმა იციან, რომ სკოლაში სასწრაფოა გამოძახებული;
- დარწმუნდით, რომ ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ინფორმირებულია დაუყოვნებლივ;
- არ გააუქმოთ სასწრაფოს გამოძახება.




European School LLC  
შპს ევროსკული სკოლა

# Medical Policy



Review Frequency: Annual  
Policy written by: Student support center  
Policy written in: September, 2017  
Last review date: May, 2022  
Last reviewed by: Student Wellbeing Services

Sophio Bazadze  
Director



21 Shkurtladze Str. Tbilisi, 0177, Georgia  
Tel: (032) 239 59 64,  
info@europeanschool.ge  
www.europeanschool.ge  
b7j: 205172917

## **Our Mission**

